მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სააღდგომო ეპისტოლე



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სააღდგომო ეპისტოლე

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს

სააღდგომო ეპისტოლე

მწყემსთმთვარებს, მწყემსებს, დიაკვნებს, მონაზვნებს და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგულ შვილს

უფალში საყვარელნო ყოვლადუსამღვდელოესნო მწყემსთმთავარნო, ყოვლადპატიოსანნო მღვდელნო და დიაკონნო, ღვთისმოყვარე მონაზონნო, ძვირფასნო ძმანო და დანო!

ქრისტე აღდგა!

ამ სიცოცხლის დამადასტურებელი და უზარმაზარი სულიერი ძალით აღსავსე სიტყვებით გულითადად მოგესალმებით ყველას და გილოცავთ წმინდა პასექის დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულს.

შემთხვევითი არ არის, რომ საეკლესიო ტრადიცია ამ დღეს უწოდებს *დღესასწაულთა დღესასწაულს* და *ზეიმთა ზეიმს,* რადგან ქრისტეს აღდგომა – ეს არის მტკიცე საფუძველი ჩვენი რწმენისა და სასოებისა. მასშია თითოეული ადამიანის ფერისცვალება და განახლება, მარადიული სიცოცხლის ნათელი და წარუვალი სიხარულის წყარო. ქრისტეს აღდგომამ მოსპო კაცობრიობის ყველაზე საშინელი მტრები – ცოდვა და სიკვდილი, დაშალა ბარიერი ღმერთსა და ადამიანებს შორის და გაგვათავისუფლა ბოროტის ბატონობისგან.

ადიდებდა რა მაცხოვრის აღდგომას, წმინდა ნიკოლოზ სერბი წერდა, რომ *„ქრისტეს გამარჯვება არის ერთადერთი გამარჯვება, რომლითაც ყველა ადამიანს შეუძლია გაიხაროს, პირველქმნილიდან უკანასკნელამდე. ყველა სხვა ამქვეყნიური გამარჯვება ყოველთვის ყოფდა და ყოფს ადამიანებს... მხოლოდ ქრისტეს გამარჯვება – როგორც მზე, ნათელ სხივებს ჰფენს ყველას, ვინც მის ქვეშ დგას“* (საუბრები. სახარება სიკვდილის დამთრგუნველლის შესახებ).

ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს, ვინც ხსნისკენ ისწრაფვის, თითოეულ მორწმუნეს და ქრისტეს მიმდევარს, შესაძლებლობა ენიჭება, დაამარცხოს ცოდვა და მოციქულისა და მახარებლის, იოანეს სიტყვისაებრ გახდეს *ღვთის საყვარელი შვილი* (1 ინ. 3:1).

ჩვენ ვზეიმობთ პასექს, არა გარდასვლას ერთი მიწიდან მეორეზე, თუნდაც აღთქმულ მიწაზე, როგორც აღნიშნავდნენ ძველი ებრაელები ძველაღთქმისეულ პასექს, როდესაც ხარობდნენ და ზეიმობდნენ ეგვიპტის მრავალწლიანი ტყვეობიდან გათავისუფლებას. ჩვენი პასექი სხვა რამეზეა. უფალმა გაგვათავისუფლა *ცოდვის სიბნელისგან და სიკვდილის აჩრდილისგან* (ლკ. 1:79) და გვიბოძა ზეციური სასუფეველი.

„ქრისტემ თავისუფლების შუქზე გამოიყვანა სევდიანი პატიმრები – ზეციური სამოთხის სიმღლეებისკენ წაიყვანა ისინი მხიარულებით“ (ჰიმნი XXXVIII), – ღირსი ეფრემ ასურის ეს აღმაფრთოვანებელი სტრიქონები გამოხატავს პასქალური საიდუმლოს – ბოროტის ზემოქმედებისგან ადამიანის გამოხსნის – ღრმა განცდას. ბოროტება არ გამქრალა, მაგრამ ადამიანმა ღვთის მადლის ძალით შეიძინა უნარი,

შეებრძოლოს ბოროტებას და დაამარცხოს ის სინანულის, ლოცვის და წმინდა ევქარისტიის საიდუმლოში მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარების გზით. ამიტომ, პავლე მოციქულთან ერთად ვადასტურებთ, რომ *ქრისტეს მკვდრეთით აღმდგენი ჩვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში* (რომ. 8:11).

ქრისტეს პასექი აღნიშნავს მიწიერი ხრწნილებიდან ღმერთთან მარადიულ ცხოვრებაში გარდასვლას და ერთობას ჩვენს შემოქმედთან და გამომსყიდველთან. ამიტომ, ვხარობთ რა ჩვენთვის აღმდგარი იესოთი და *მადლიერებით ვიღებთ ცხოვრების სასუმელს* (ფს. 115:4), რომელშიც ეკლესია გვაძლევს უკვდავების ჭეშმარიტ საჭმელსა და სასმელს - ქრისტეს ხორცსა და სისხლს, დაუღალავად და დაუდუმებელად ვადიდოთ უფალი სიყვარულისა და გულმოწყალების საქმეებით, რათა წარმოვდგეთ მის ერთგულ მონაფეებად.

და თუმც ჩვენი სწრაფვა სიკეთისა და წარმატებისკენ საღვთო საქმეში შეიძლება ზოგჯერ *ქვრივის მოკრძალებულ ლეპტად მოგვეჩვენოს* (მარკოზი 12:42), მაგრამ მაინც ყოველთვის ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ შესუსტდეს ჩვენში რწმენის სიმტკიცე და სასოების შეურყევლობა, რამეთუ ვიცით, რომ*ჩვენი შრომა ფუჭი როდია უფლის წინაშე* (1 კორ. 15:58).

მაშ, ვაქოთ და ვადიდოთ აღდგომილი მაცხოვარი, სიყვარულით ჩავეხუტოთ ერთმანეთს და აღდგომის გაუკრთომელი სიხარული გავუზიაროთ ყველა ადამიანს, ვისაც ღმერთი შეგვახვედრებს ჩვენი ცხოვრების გზაზე, და სიტყვით დასაქმით დავამოწმოთ, რომ

ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი

2025 წ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93099/